

„ კომX" №8, 2002 წლის 26 აპრილი

რედაქტორი: დავით ჯუპარავა, სიუჟეტების აპტორები: ნინო თათარაშვილი, თეა კობახიძე, ნინო ოშხერელი
მხატვრები: ზურაბ კობახიძე, ზაალ სულაჯაური, გიგა ცხადაია. კომპიუტერული გრაფიკა: გიორგი პერანიძე.
საგამომცემლო სახლი „მატრიცა"

Property of www.compinfo.ge

ნომერშია:

დიდი რევოლუციონერის ოდისეა

უნივერსალური თერაპია, ანუ პრეზიდენტის სამედიცინო მეთოდები

ავტოინსპექციის საგარდერობო რეფორმა

რამდენიმე ეპიზოდი ელენე თევდორაძის პოლიტიკური ცხოვრებიდან

jondaris, nerviuli miSas da gulsundas morigi istoriebi



Property of www.compinfo.ge



ჯონდარის თავგადასავლები

ნაწილი მეთერთმეტე, რომელშიც ჯონდარი „პახმელიაზეა"

Property of www.compinfo.ge

მერფის კანონები საქართველოსთვის

სიტყვა მერფი, ამერიკულად ნიშნავს არაოფიციალურს.
კანონების ეს კრებული შეიმუშავა არტურ ბლოხმა, ხოლო ადაპტაცია საქართველოსთვის – ჩვენ გვეკუთვნის.

გადასახადები საქართველოში მცირე ბიზნესისათვის

ბაზისური აქსიომები:
საქართველოში ნებისმიერი მცირე ბიზნესის დაწყებისას, მყარად უნდა გახსოვდეს, რომ გადასახადების საერთო რაოდენობა ყოველთვის აღემატება შემოსავალს.

ბუღალტერი და ბუღალტერია მოგონილია მხოლოდ იმისათვის, რომ ცხოვრება ნაკლებ სასიამოვნო იყოს.

ძირითადი კანონები:
ნებისმიერი შეცდომა, რომელიც შეიძლება გაიპაროს საგადასახადო დავალებების შევსებისას, აუცილებლად გაიპარება.

ნებისმიერი შეცდომა ბუღალტრულ აღრიცხვაში მიმართულია მაქსიმალური ზიანის მიყენებისაკენ.

ნებისმიერ მითითებას, რომელიც შეიძლება არასწორად იყოს გაგებული, ბუღალტერი აუცილებლად გაიგებს არასწორად.

ნურასდროს ნუ შეედავები საგადასახადო ინსპექტორს, ან ბუღალტერს, თორემ ხალხი იფიქრებს, რომ შენც საგადასახადო ინსპექტორი, ან ბუღალტერი ხარ.

კვალიფიციურია ის ბუღალტერი, რომელიც არასდროს უშვებს წვრილმან უზუსტობას და განუხრელად ილტვის რაიმე გლობალური შეცდომისაკენ.

საგადასახადო ინსპექცია ორგანიზაციის ანგარიშს ყადაღას ადებს მაშინ, როცა ყველა გადასახადი გადახდილია.

როცა არ დამალავ არც ერთ გადასახადს, შემოწმებისას აღმოჩნდება, რომ სამი-ოთხი გადასახადი, თურმე დაგიმალავს, და ვერ გაგიგია.

გადმორიცხული თანხა არასდროს არ მოდის დროზე.

საგადასახადო დავალების სწორად შევსება შესაძლებელია მხოლოდ შეცდომით.

თუ ერთი გადმორიცხული თანხა დროზე მოვიდა, მაშინ ყველა შემდგომი გადმორიცხვა დაიკარგება.

ის გადმორიცხვა, რომელიც ყველაზე მეტად იგვიანებს, ანგარიშზე დაჯდება პარასკევს, საღამოს ხუთ საათზე, როცა ბანკის სალარო უკვე დაკეტილია.

იმისათვის, რომ საგადასახადო ინსპექტორს მაქსიმალურად ძლიერი ეჭვი აღეძრას თქვენი ბუღალტერიის სრულ სისწორეში, ყველა გადასახდი უნდა გადაიხადო.

ის ჩეკები, რომლებსაც დიდხანს ინახავ და აღარაფერში გჭირდება, შეიძლება გადააგდო. როგორც კი ჩეკს გადააგდებ, ბუღალტერი აღმოაჩენს, რომ ის საჭირო ყოფილა.

ის, მეწარმე, რომელიც ამტკიცებს, რომ ყველა გადასახადს იხდის - ტყუის. ის ინსპექტორი, რომელიც ამტკიცებს, რომ ყველა გადასახადს კრეფს - ისიც ტყუის.

რაც უფრო მძიმე ფინანსური მდგომარეობა გაქვს, მით უფრო მეტი გაუთვალისწინებელი ხარჯი იჩენს თავს.

რისი ყიდვაც გინდა, იმაზე ფული არასდროს არ გყოფნის, ხოლო ის, რაზეც ფული გყოფნის - ძალიან ძვირია.

ბექა გურასპაული

Property of www.compinfo.ge

ამოცანები ბავშვებისათვის

1. მაწანწალა ძაღლმა, ბიბიმ თავისი ცხოვრების მანძილზე მრავალი პატრონი გამოიცვალა. პირველად, ის ჯერ ლეკვი იყო, როცა უბრალოდ, დაიკარგა. მეორედ, თვითონ გამოექცა გულქვა პატრონს. შემდეგ, სხვადასხვა პატრონებმა 8-ჯერ გამოაგდეს სიავის გამო და 3-ჯერ სიძუნწის გამო. ბოლო პატრონს, ყველაფრის და მიუხედავად, დიდხანს უყვარდა ბიბი და ისინი ერთად გარდაიცვალნენ. გამოითვალეთ, სულ რამდენი პატრონი ყავდა მაწანწალა ბიბის?

2. როცა გიორგი მივიდა მეგობრის დაბადების დღეზე, საჩუქართან ერთად იწონიდა 26 კგ-ს და 100 გრამს. დაბადების დღეზე მან შეჭამა 40 კანფეტი (თითო იწონიდა 10 გრ-ს), 10 ვაშლი (თითო იწონიდა 100 გრამს) და 12 ბუტერბროტი (თითო იწონიდა 110 გრამს). გამოითვალეთ, რამდენს იწონიდა გიორგი, როცა სახლში დაბრუნდა და საჩუქარიც თან წამოიღო?

3. ცირკში 30 რიგია, თითო რიგში კი 120 ადგილია. ყოველ საღამოს ცირკი სავსეა და მაყურებლები სიცილით კვდებიან. რამდენი ადამიანი კვდება სიცილით ყოველ საღამოს?

4. აფთიაქში იდო 27 სხვადასხვა წამლის აბები. ორმა პატარა ბავშვმა გადაწყვიტა გემო გაესინჯათ. ერთმა გასინჯა 5 აბები და ხმის ამოუღებლად იატაკზე გაიშხლართა, მეორემ – 3 აბები და ყვირილით გავარდა ქუჩაში. რამდნი აბები დარჩა აფთიაქში გაუსინჯავი?

5. სამზარეულოში 39 ბუზია. 6 სვამს ჩაის, 12 დაფრინავს ჭაღის გარშემო, დანარჩენები კი, კედელზე დადიან. რამდენი ბუზი დადის კედელზე?

6. ოჯახში 12 ფინჯანი და 9 ლამბაქია. ბავშვებმა გატეხეს ფინჯნების ნახევარი და 7 ლამბაქი. რამდენი ფინჯანი დარჩა ლამბაქის გარეშე?

ა ნ ე კ დ ო ტ ე ბ ი

რუბრიკა ლენტეხი-მესტია

სვანს ექიმმა ვიაგრა გამოუწერა. სვანმა დალია და მაშინვე სიმაღლეში გაიზარდა.
* * *
სვანი აივანზე შარვალს ფერთხავს, შარვალი ძირს ჩაუვარდა. სვანმა გაიფიქრა: ჯიდეკ ჯარგი, ტანზე არ მეცვა.
* * *
სვანს შეყვარებული გაექცა. გაეჯიდა, დაეწია და გაუსწრო.
* * *
სვანები დახუჭობანას თამაშობენ. ერთი სვანი დაიმალა და ვეღარ იპოვნეს.
* * *
სვანი ინტერნეტში BMW-ს საიტზე მოხვდება და მანქანა გაიტანს.
* * *
სვანებს როიალი დაუგორდებათ და ჰედლებს დააჭირეს ფეხი.
* * *
ევჯალიჰტის ტყეში მაგრად ნაბეგვი, დასისხლიანებული ჯენგურუ მოდის ჯოჭლობით. გზად ავსტალიელი შეხვდება და ეკითხება:
- რა არის, რა მოგივიდა?
- გზად სვანი შემომხვდა და ჩანთა ამახია - პასუხობს ჯენგურუ.
* * *
ხელ-ფეხ დამტვრეული, დალილავებული სვანი ექიმთან მიდის.
- რა მოგივიდა ჯაცო, ვინ გიქნა ეს საშინელება? - ეკითხება თვალებგაფართოებული ექიმი. ცხენიდან ჩამოვარდი - უპასუხა სვანმა.
- რა ცხენი იყო ჯაცო, ამისთანა? - გაოცდა ექიმი.
- მერე ირემი დამეჯახა - განაგრძო სვანმა.
- არ გადამრიო! - შეიცხადა ექიმმა.
- აბა..მერე რაჯეტა დამეჯახა.. - ჯვლავ განაგრძო სვანმა.
- სად იყავი ჯაცო ასეთ ადგილას? - მთლად გაოგნდა ექიმი.
- ჯარუსელზე ვჯატაობდი.. - გამოტყდა სვანი.
* * *
სვანი თამაშობს „ვის უნდა ოცი ათასი" და აქვს სამი შეკითხვა და თხუთმეტი დახმარება.
* * *
სვანი ინტერნეტში შევიდა და დაიჯარგა. მეორე სვანმა იპოვნა და „იმეილით" სახლში გააგზავნა.
* * *
სვანს სიგარეტი L&M-ის ჯოლოფის მიაწოდეს და ჰკითხეს, - რა აწერიაო.
- ლენტეხი- მესტია - უპასუხა სვანმა

საბავშვო გვერდი

ნამდვილი ამბები



Property of www.compinfo.ge

უნივერსალური თერაპია



რამდენიმე ეპიზოდი ელენე თევდორაძის ცხოვრებიდან

roca mama peterburgSi wamiRo, qarTuli sul dagavicxda...

არა ვარ ბულდოგი!

დედა ადრე დავყარგე. მამა არ მახსოვს. ალბათ, როგორც ხშირად ხდება, დაბადებისთანავე მიგვატოვა. ერთ პატარა ფიცრულში ვცხოვრობდი, წვიმის დროს წყალი თავზე მასხამდა და სიცივითა და შიმშილით შეწუხებულს, ერთთავად მაყანყალებდა. სხვა გზა არ მქონდა, ქუჩაში გამოვედი. იქ ბევრი ჩემნაირი ვნახე. რამდენიმე მათგანს დავუმეგობრდი და ერთად წანწალი დავიწყეთ. ხან ვის ავწაპნიდით საჭმელს და ხან ვის. როცა წამოვიზარდეთ, უფრო გავთამამდით. მე, როგორც ფიზიკურად ყველაზე ძლიერს და დიდს, სხვაზე მეტი შემეძლო და პირველობაც მალე მოვიპოვე. რამდენჯერმე დაგვიჭირეს ყიდეც, მაგრამ უპატრონოებსა და უჯიშოებს რომ გვნახავდნენ, მალე გვიშვებდნენ.

ერთხელაც ისე მოხდა, რომ ვიღაც დიდი ყაცის მეუღლეს, მეორე ქუჩის მაწანწალა ძაღლები მიესივნენ. ქალს ჩანთით ხორცი მიჰქონდა და შიმშილით გამწარებულმა ძაღლებმა ვეღარ მოითმინეს, ადამიანიც არაფრად ჩააგდეს და ჩანთას დაეძგერნენ. მე მაშინვე მივვარდი და ყველანი ყინწისყვრით გადავყარე. ქალმა მადლიერებით აღსავსე თვალებით თავზე ხელი გადამისვა და სახლში წამიყვანა...

ახლა ვდგავარ და ჩემი ქალბატონის, უფრო სწორად, მისი მინისტრი მეუღლის სამსართულიან ვილას და ერთ ჰექტარ ეზოს გულმოდგინეთ ვდარაჯობ. საჭმელი არ მაკლია და სასმელი. მართალია ქუჩა მენატრება, მაგრამ სამუშაო, მაინც სამუშაოა. მთელი დღე ტყეილად ვარ. ხანდახან, საიდანღაც ეზოში შემოხეტებულ ყატებს თუ გავედევნები - ეს არის სულ ჩემი მოვალეობა.

ერთ რამეზე ყი მწყდება გული - მინისტრთან მოსული სტუმრები, ჩემს დანახვაზე დადგებიან და ჩემს წარმომავლობაზე ბჭობენ: ზოგი ამბობს: „ბულდოგს" ჰგავსო, ზოგი: „არაფერიც, სუფთა სტაფიაო", მე ყი გული მომდის და ვბრაზობ. არა ვარ ხალხო არც ბულდოგი და არც მაგდაგვარი. ხომ ხედავთ, გულზე რა მაწერია, ჯიმი ბუღაძე, დაცვის თანამშრომელი.

გია სახვაძე

Property of www.compinfo.ge

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ

კითხვა - პასუხი

- რა განსხვავებაა მოქალაქეთა ყავშირსა და ნაციონალურ მოძრაობას შორის?
- მოქალაქეთა ყავშირის წევრებს ურტყამენ თბილისში, ნაციონალური მოძრაობის წევრებს ყი რაიონებში.

* * *

- რა შედეგი მოჰყვება „თელასის" მიერ ელექტრო ენერგიის ტარიფის გაზრდას?
- ტარიფის ყიდევ უფრო გაზრდა!

* * *

- რას მოგვცემს მერიის მიერ გარე ვაჭრობის აკრძალვა?
- ქალაქის მერი თავისუფლად შემოივლის ქუჩებს!

* * *

- რა მოვალეობა აკისრია ქართველ ჯარისკაცს, უცხო ქვეყნის დივერსანტებთან შეხვედრისას?
- დაეხმაროს ტვირთის ვეტმფრენში ჩალაგებაში.

* * *

- რა განსხვავებაა ნარკომანსა და „სემეკს" შორის?
- ნარკომანს „ლომკა" აქვს წამალზე, „სემეკს" - ფასების გაზრდაზე.

* * *

- რა მოხდება, თუკი საქართველოს პრეზიდენტს გაუგრძელდება მმართველობის ვადა?
- ეს იქნება ქართული ბიზნესის ყიდევ ერთი წარმატება!

გია სახვაძე

ბედის ირონია ანუ...

(სიუჟეტის ავტორი ლენა განჯელაშვილი)


გული გვაქვს გული
პიონერული
გამბედაობა
ყომაკავშირული....
ლა, ლა, ლა!
თბილისის 2 საფრანგეთი სკოლა
ულუფაბრ. ბრიგადა
ისტორიკოსი
1
აბა, ბავშვებო, მითხარით, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ფერშალი?
ფერშლის მოვალეობაა გამოადგეს პროლეტარიატს!
2
ზარი
მოდის ჩემი ლენიკო... ახლა ცხვირ-პირს დავამტვრევ...
3
ბრაბ!!!
4
5
ლოზუნგი
მაინც არ მიყვარხარ შე ისტორიკოსა, დახეული კოსტუმი რომ გაცვია!!!
მე შენ მოგარჯულებ, ამხანაგო განჯელაშვილო, მაცალე ხვალამდე!..
ისტორიკოსი
6
ამხანაგო განჯელაშვილო, ჩადი ჩემს სამუშაო ოთახში და კლიტე ამომიტანე!
მეორე დღეს
ისტორიკოსი
დიახ, ამხანაგო ედუარდ, ახლავე...
7

?ამოცანა ჯარისკაცებისათვის

ელიტალური ჯარისთვის ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძლიერ ახალგაზრდებს შეარჩევენ. გამოცდის პირველ ეტაპზე, მსურველის ფიზიკურ მომზადებას შეამოწმებენ. ისინი 10-ჯერ ხელებზე, 20-ჯერ ფეხებზე და 40-ჯერ ძელზე უნდა აიზიდონ. 60-ჯერ მუცლის პრესის ვარჯიში გააკეთონ, ასმეტრიანი დისტანცია 14 წამში, 3 კილომეტრიანი კი - 13 წუთში უნდა დაფარონ. თავი 100-ჯერ უნდა დაარტყან აგურებს, ენაზე ნაკვერჩხლები 10 წუთი გაიჩერონ და საჭმელი 1 წამში უნდა შეჭამონ. გამოითვალეთ, რამდენი წუთი მოუწევთ ძილი ჯარისკაცებს?

?ამოცანა სპორტსმენებისათვის

ცნობილია რომ, ქართველმა ფრენბურთელმა გოგონებმა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ორი მატჩიდან (აზერბაიჯანის და ესტონეთის ნაკრებებთან), ორივე წააგეს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სპორტსმენთა ფინანსური უზრუნველყოფა და მომზადების დონე ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია, და რომ აზერბაიჯანის ფრენბურთის ფედერაციის წლიური ბიუჯეტი 2 მილიონი დოლარია, ესტონეთის - 350 ათასი დოლარი, ხოლო ქართველების 40 ათასი ლარი, ამ არითმეტიკულ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოითვალეთ, რა ანგარიშით წააგებდნენ ქართველი ფრენბურთელი გოგონები აზერბაიჯანისა და ესტონეთის ნაკრებ გუნდებთან?

Property of www.compinfo.ge

ავტოინსპექციის საგარდერობო რეფორმა



ყურადღება!

გაზეთი ჯომ-X-ი აცხადებს კონკურსს!

გამოგვიგზავნეთ ფელეტონები, სასაცილო ისტორიები და ჟურიოზული თავგადასავლები. მათგან საუკეთესო, დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის ახალ რუბრიკაში, ხოლო ავტორს ელოდება სიურპრიზი!

ტექსტები გამოგზავნეთ შემდეგ მისამართზე - რუსთაველის გამზირი №42 (საქინფორმის შენობა), გაზეთ ჯომ-X-ის საფოსტო ყუთი

Property of www.compinfo.ge

?ამოცანა ჯელეფონით მოლაქლაქეთათვის

იაპონელმა გამომგონებლებმა შექმნეს ისეთი მობილური აპარატი, რომელიც ულაპარაკოდ, ტუჩების მოძრაობის მიხედვით შიფრავს სიტყვებს და თანამოსაუბრეს გადასცემს. გამოიცანეთ, ვინ იქნებიან მისი აბონენტები და რა პრობლემებს აუცილებს თავიდან ახალი ტელეფონი მის მომხმარებლებს.

წინა ნომერში გამოქვეყნებული წერილის მეორე, ფარული ვერსია.

ბატ. გენერალო! მოგახსენებთ, რომ სიტუაცია ჩვენდა სასიკეთოდ შეიცვალა. ხალხში სიწყნარეა, ოღონდ მთავარია წამალი არ მოგვაკლოთ. ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ლომკაში ყოფნა ძნელი საქმეა და თქვენი მოვალეობაც ესაა, კრიშობა ამ რეგიონში და ნარკობიზნესის მფარველობა. დღეს ბარიგების რაოდენობა უფრო და უფრო იზრდება ანუ თქვენი წილი უნდა ავიღოთ და კონტროლი მაქსიმალურად გავზარდოთ, ჰეროინი გვენატრება, ის ყველაფერს შველიდა, მაგრამ პანკისში ჩაკეტეს და აქეთ აღარ უშვებენ. ამ საქმეშიც თქვენი ჩარევაა საჭირო.

ჩვენი გამარჯვებულია
თეიმურაზ მეშველიანი.